


FS - 5790  
1



F 128  
3

გამოცემა მ. გვარაშვილი.



ქრისტინ, სტატია „დამბა“.

6. 8° 1130

5790



გამოყენით დული ვერა მისი.

გ. ტ ა ბ ი ღ.



ს ი მ ი ს ი გ ი

1 ტ ა ბ ი




პ ტ ა ბ ი ღ

სტამბა „მმობა“ პუბლიცის ქუჩა სახლი ვთევილოვან.

1914.

OPFB  
29




3.3.3

## გ. ტაგიძე.

გალაკტიონ ტაბიძე — დაიბადა 1892 წელს, სოფ. ჭყვიშში, (ქუთაისის მაზრა). სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში; სემინარიიდან გამოსვლის შემდეგ იგი მასწავლებლად იყო შორაპნის მაზრაში, მაგრამ მაღლე მასწავლებლობას გაანება თავი და ქართულ განხეთების რედაქციებში იწყო მუშაობა, რასაც განიგრძობს დღესაც.

პირველი მისი ორი ლექსი დაიბეჭდა 1908 წელს, ერთი ფურნალ „ჩვენს კვალში“ და მეორე გაზეთ „ამირანში“. ამ დღიდან იგი ლექსებს ბეჭდავდა უმეტეს ნაწილათ სამხატვრო-სალიტერატურო გამოცემებში.

ხოლო მისი ნაწერების კრებულის ყალკე გამოცემა პირველათ ამ წიგნით იწყება



## ცეკვის განვითარები.

ჩემი სიმღერა ქვითინი იყო,  
სულით ობლობას ჰყვენესოდა ქნარი.  
ტაბიდე.

სიკოცხლე ადამიანისა მეტად ხანმოკლეა; სამყარო კი  
უსაზღვრო, დაუსრულებელი და საიდუმლოების ბურუსში გახ-  
ვეული.

გარღვევა ამ ბურუსისა და საიდუმლოების ამოცნობა — ამ ადამიანის წყურვილი უძველესი დროიდან.

მიწიდომა მიუწიდომელისა, ამოცნობა ამოცნობელისა, ახსნა, გაგება მთელი სამყაროსი — აი რა იზიდავდა და იზი-  
დავს ადამიანს.

ამ წყურვილზე, ამ მისწრაფებაზე აშენდა სხვა და სხვა  
დროს მრავალი ფილოსოფიური და სარწმუნოებრივი მოძლ-  
ვრებანი.

მიუხედავად ამისა ადამიანის წყურვილი წყურვილათვე  
დარჩა და მისწრაფება უნაყოფოთ.

რას წარმოადგენს სამყარო, სად არის მისი დასაწყისი და  
სად დასასრული?

საიდან, როგორ გაწიდა ყოველივე ეს?

რა არის სიკოცხლე, რას წარმოადგენს სიკვდილი?

ყველა ამ კითხვებზე პასუხს ეძებს მოუსვენარი სული  
ადამიანისა.

მაგრამ პასუხს არავინ არ იძლევა, პასუხი არსაიდან არ ისმის.

საუკუნე საუკუნეს მისდევს, ათასი წლები ერთი მეო-  
რეს სცვლიან, — საიდუმლოებას სამყაროსას კი ფარდა არ ეხ-  
დება; ის იმდენათვე მიუწიდომელია დღეს, რამდენათაც მიუწ-  
დომელი იყო ამ რამდენიმე ათასი წლის წინეთ.

ილაჯ-გაწყვეტილი, იმედ დაკარგული ადამიანი ხშირად



სასოწარკვეთილების ეძლევა და ი სწორეთ ასეთში სასურარკვეთილებამ წარმოათქმევინა უძველეს დროს სოლომონ ბრძენს: ამათ ამაოცებათა და ყოველივე ამათათ.

სოლომონის სულისკვეთება ყოველი შეგნებული ადამიანის სულისკვეთებაა.

დიდ კითხვებსაც რომ თავი დავანებოთ და ჩეენს გარეშემო მიმოვიხედოთ, ყოველ ნაბიჯზე აუხსნელ საიდუმლოებას დავინახავთ. თეით სიცოცხლე, თეით ყოველი ჩეენგანი განა საიდუმლოება არ არის?

ვიბადებით, ვცხოვრობთ, ათასი მისწრაფება, სურვილები გვებადება; სხვა და სხვა მიზანს ვისახავთ და ვიბრძებთ; გამოგვირბენს სიკვდილი და ყოველივე გაჭქრება, მოისპობა.

„კეშმარიტად ამათა ყოველივე“ — ი ამონაკვნესი კეშმარიტების ძიებაში მოქანცულის სულისა.

სამყაროს საიდუმლოებათა კვლევა-ძიება ადამიანს აგრძნობინებს სრულს უძლიურებასა და უმწერობას.

შეგნება ამ უძლიურებისა და დაუკმაყოფილებელი წყურვილი იწვევს ერთგვარ სევდას.

ამგვარი სევდა ყოველი შეგნებული ადამიანის გულში იწვევს გამოხმაურებას, რადგანიც ეს მთელი კაცობრიობის სევდაა.

პოეზიაში ამგვარი სევდის მატარებელი ჩეენში ბარათა-შვილი იყო. ყოველდღიური ქხოვრება ნ. ბარათაშვილის ობოლ სულს არ იქმაყოფილებდა. მას სწყუროდა მსოფლიოს საიდუმლოებათა ამოცნობა.

მე შენსა მჭერეტელს მავიწყდების საწუთოება,

გულის თქმა ჩემი შენ იქითა ეძიებს საღვრას!

ეუბნება პოეტი კას.

ბარათაშვილის ფიქრი მუჟამ ცისაკენ მიწრაფოდა,

„მაგრამ უკი სცნობენ გლაზ მოკვდავნი განვებას ციცქაწილება  
და ეს უძლურება იცხებს პოეტის გულს სევდით, რომლის  
ზეგავლენითაც მას ყოველივე ამქვეყნიური ამაოებათ მია-  
ჩნია.

ბარათაშვილის შემდეგ ჩვენი პოეზია საქმიად განვითარ-  
და, მაგრამ ბარათაშვილის გზას კი ასცდა. პოეზიის უმთავრეს  
საგნათ ეროვნული მდგომარეობა და საზოგადოებრივი კი-  
ოთხვები გადაიქცა, ჩვენი პოეზია სევდით სავსეა, მაგრამ ეს სე-  
ვდა უმთავრესად ეროვნულია, საზოგადოებრივი, — ჩვენი ერო-  
ვნული მდგომარეობითა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნა-  
კლულევანებით გამოწვეული. ბარათაშვილის მსოფლიო სევდის  
კილო გაისმის ტაბიძის პოეზიაში. ხელოვნების ასპარეზზე  
ტაბიძე აგერ ახლა გამოვიდა, ამიტომ მისი დაფასება ჯერ  
შუძლებელია; ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ მკითხველს ტა-  
ბიძის პოეზიის ნიშნობლივ თვისებებზე.

ეს ქვეყანა ტაბიძეს არ აქმაყოფილებს, ვიწროა მისოვის,  
უშინაარსო.

„ვიტყვი, რომ ცელა მომეწრდა ქვეყნად,  
რომ დავიღალე მე ამ კუბოში;“

პოეტი ეძებს სიცოცხლის მიზანს, მაგრამ არსებულ  
ცხოვრებაში ამ მიზანს ვერა ვერა ჰედავს.

„ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,  
მაგრამ არაენ იძლევა პასუხს!“

ქვეყნად ყოველივე წარმავალია.

„არ განაბლდება წარსული ეაში  
ბედნიერება არ დაბრუნდება...“

ადამიანის ოცნებანი ოცნებებათ რჩება და ბოლოს მისი  
ყოფნა კუბოთ იქცევა. პოეტი უარყოფს ამგვარ ცხოვრებას,  
რომელიც მის თვალში უმიზნოა და ფუჭი, ის გაურბის



ზალხს, საზოგადოებას და სევდით გამსჭვალული ეძებს განმარტოებას, მთვარიან ღამეს, სასაფლაოს, რომ დაივიწყოს დედამიწა, ფიქრს მისცეს თავი და გაძჟვეს ოცნებას.

ოცნებას პოეტი კისაკენ მიშეავს, პოეტის ფიქრი შორს მიჭირის, ვარსკვლავებისაკენ. ის ამ დროს ბედნიერია, დამმორჩილდით, მე ღმერთი ვარ, ყველაფერსა ვქმნიო, აღტაცებით გვაცხადებს პოეტი: მაგრამ მის აღტაცებას ისევ მალე მოშევება სევდა: კაში პოეტი ეძებს სამარადისოს, მიუწდომელს, კრცელს, უსაზღვროს.

„ ხშირად ეოცნებობ და შევცემი კას,

ვეძებ უხილავს, ვუცდი ვიღაცას“.

მაგრამ პოეტი თანდათან რწმუნდება, რომ მისი ძებნა მხოლოდ აუსრულებელი ოცნებაა.

სასოწარკვეთილებით შეპყრობილი, ის ყოველივეს უარყოფს:

„რად მინდა მიეწვდე მოუწოდეს, ვრცელს და უსაზღვროს:

ჩემს უდაბნოს ვერ გავცილდები მაინც ვერას დროს!“

სწერს ის ერთს თავის საუკეთესო ლექსში.

პოეტს ცხოვრება არ აქმაყოფილებს, კა მას არასფერს ეუბნება; საიდუმლოება მსოფლიოსი მისთვის მიუწდომელი რჩება და პოეტი მთელს ქვეყანაზედ ეულადა გრძნობს თავს, როგორც უდაბნოში.

უმიზნობის, სიცალიერის შავი ნისლი თან დასდევს მას როგორც ნ. ბარათაშვილს თან სდევდა შავი ყორანი და პოეტის სევდა მატულობს, მისი სულიერი ტანჯვა იზრდება.

პოეტი სამუდამოდ მარხავს თავისი სიყმაწვილის ტკბილ ფიქრებსა და ოცნებებს და მისი გულის სიმები მხოლოდ სევდიან ხმებს იძლევიან.

იყო დრო, ვარსკვლავებით მოჭედილი კა იტაცებდა პოეტის „სმენას, სიმღერას და თვალთა ცქერას“.

გაშინ პოეტი ბედნიერი იყო, ის გულში ძლიერ წყვეტა  
ბდა მომსკდარ სიმღერას. ეს ის დრო იყა, როდესაც პოეტს  
სწამდა, რომ კა დააკმიყოფილებდა იმის სულიერ წყურვილს,  
რომ კა აუხსნიდა მას ბუნების საიდუმლოებას და ხელში ჩაუ-  
გდებდა უსაზღვროს, მიუწლომელს.

პოეტი ოცნებობდა; ის სიხარულით მოელოდა ამ გაზა-  
ფხულს თავის ცხოვრებაში.

სინამდვილეში ოცნებისას ავანთებ კანდელს,

იმ შორ გაზაფხულს ფეხშეუ ვეგებ ყოფნას დღვევანდელს.

მაგრამ კამ პოეტს არაფერი უთხრა, გაზაფხული არ მო-  
ვიდა და პოეტი ოლირც ელის იმის მოსელას. ის შორდება  
ჰეტას.

„არცა თუ მცირედ შეუდგა გულს სევდა-ნაღველი,

რომ კვლავ შემეძლოს ზეცისაკენ აღვაპყრო ხელი!

სიყმაწვილის ოცნებანი განქრენ და დღეს კიდეც რომ უნდო-  
დეს, მაინც ალარ შეუძლია ზეცისაკენ ხელები იღაბყროს, აი  
ძე პოეტის სული განიცდის სრულ მარტოობას, ობლობას და  
უნუგეშობას. ეს მარტოობა, სულის ობლობა ტაბიძეს საუ-  
ცხოვოდ ძევს გამოქანდაკებული განსაკუთრებით „უდაბნო“ —  
ში. ძლიერი, ღრმა გრძნობა თვისებაა პოეტისა. ვისაც ეს არ  
ახლავს, ის არ არის პოეტი, რაგინდ დახელოვნებულიც  
იყოს ლექსთა შეწყობაში.

მაგრამ მარტო ძლიერი გრძნობა საკმარისი არ არის  
პოეტისათვის; მან უნდა შესძლოს ამ გრძნობის ჩვენება. გა-  
მოხატვა: უამისით ის ვერავითარ შთამეცდილებას ვერ მოახდენს  
და, როგორც პოეტი, მკვდარია. გ. ტაბიძე ორივე ამ ღირ-  
სებით საკმაოდ არის დაჯილდოებული. ის ძლიერათ გრძნობს,  
ღრმათ განიცდის ადამიანის არსებობის ტრალედის და ამ სევ-  
დიან მწუხარებით სავსე გრძნობის გამოხატვა საკმაოთ ეხერ-

ხება.

მაგრამ პოეტის საკაცობრივ სევდას, იმის შესფეროს სულის კვეთებას მაინც უკეთესი ფორმა შეეფერებოდა; მ. ტ. ბიძეს ჯერ ბევრი შრომა სჭირდება ლექსის გარეგნობის გაუ-ჯობესებისათვის.

ობოლი სული პოეტისა, როგორც დავინახეთ, განმარტოებას, სიმშეიდეს ეძებს; მას უნდა ისეთი წყნარი, ჩუმი ღილი, სადაც სრულ მყუდროებას ადამიანის სმაურობა არ არღვევს. მას ეშინია კიდეც, რომ ეს მყუდროება არაურდებოს.

„და შიში ოომ ხმა ადამიანის  
დაარღვევს ციურ იდუმალებას  
მაქვავებს“ - თ

გვიცხადებს პოეტი ერთ თავის ლექსში.

სრული მყუდროება საჭიროა ოცნებით, ფიქრით მცხოვრები ადამიანისათვის. მაგრამ როდესაც მისი ოცნებანი ასხვრევიან და ფიქრი სევდას და სულიერ ტანჯვას ვერ უქმნებს, პოეტი, ვით დემონი, სწყეველის ყოველივეს:

უსრხარულოდ, უმნიშვნელოდ  
მიპქრიან დღენი!  
ოჲ, ვის, ვის ძალუძს განიცალოს  
ტანჯვა ესდენი?

მას ყოველივე მობეჭრდა, მას ქარიშხალთან შებმა უნდა. მაგრამ ბრძოლა თვისებაა ძლიერი, მომქმედი ნებისა.

ბრძოლისათვის ნაპოლეონობა თუ არა, ნაპოლეონის შორეული ნათესაობაა მაინც საჭირო.

ტაბიძე კი განკვერტის, ფიქრის ადამიანია, ის უფრო ჰა-ლეტს ენათესავება. იმიტომ მისი სულიერი ტანჯვა თანდათან სევდის ნაზ და წარმატაც თაიგულათ იშლება.

პოეტი ობოლია ქვეყანაზედ. სიღრმე—სიგანე მისი ლიერი ტანჯვისა არავინ არ იცის.

რა იციან მეგობრებმა თუ რა ნალექს იტეს გულა,  
ან რა არის მისი სიღრმეში საუკუნოთ შენახული."

პოეტი არავის არ უშედავნებს თავის სევდას, იმიტომ კი არა, რომ მეგობრობა, ან სიყვარული სრულებით აღარა სწამდეს,—იცის, რომ იმისი წყლულები უკურნებელია. ის დარწმუნებულია, რომ თავის გაზიავებულს ვერასოდეს ვეღარ იხილავს, აღტაცების დრო სამუდამოთ გამქრა და ბედნიერებას არ ეღირსება, ამიტომ არც ეძებს.

და შეეჩია გული სუფას, ურწმუნებას.

და აი ამ ტანჯვაში, ამ სევდაში ჰქმნის პოეტი თავისებურ ნეტარებას, თავისებურ ბედნიერებას.

ვიტანჯებოდი, მაგრამ ამ ტანჯვით

გულის სიღრმეში მევე ვსტკებოდი!"

მას უნდა, რომ ეს სევდიანი ხვედრი თან წაიყოლოს.

დევ იმისი სევდა, მისი წამება უკურნებელი და დაუსრულებელი იყოს.

მე ვეძებ მასში თავისებურ ბედნიერებასო, გვიცხადებს პოეტი.

სევდის, წამების შეუვარება

სევდაში, წამებაში თავისებური ბედნიერებას ხილვა—აი ტრალედია პოეტის სულის კვეთებისა!

ბარათაშვილის საკაცობრიო სულის კვეთება და კვნესა გულისა ობლიად დარჩა, ის ეროვნულმა გოდებამ შთანთქა.

ტაბიძემ ლრმათ იგრძნო ყოველი შეგნებული აღამიანის სევდა და სულის სწრატვა, ბარათაშვილის გამოეხმაურა და, თვისი მკვნესარე ხმები მსოფლიო სევდას შეუერთა.

იგ. გომართელი.

## ხელოვნება.

1880 ბათუმი

ვის უნახავს შავი წიგნი, წიგნი წითელ ასოებით,  
 დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით?  
 დღეს ის წიგნი არვის ახსოვს, დღეს ის წიგნი არეინ იცის,  
 და უამთ მტკვრით იფარება წიგნი ცის და დედამიშის.  
 დიდხანს ვწერდი, დიდხანს მწვავდა შთაგონების ცეცხლი მწვავე,  
 ვწერდი ეინით, ვწერდი ვნებით... ვწერდი და ვერ დავათავე.  
 და ვფიქრობდი: ჩემს შავ წიგნში თუ არს-მეტე რამ ისეთი,  
 რომ არ აჩნდეს მწარე გესლი, რომ არ აჩნდეს სისხლის წვეთი?  
 და მომწყინდა ყველაფერი, და მომბეჭრდა ყოფნის მცნება,  
 ესთქვი, სხვას რას აქვს ფასი ქვეყნად — რომ რა იყოს ხელოვნება.  
 მაგრამ ჩემში საუბრობდა ხმა დამწველი, ხმა ფარული:—  
 „ხელოვნება — ეს ოქროა მიწის გულში დამარხული,  
 „ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ფარავს შეუცვლელი,  
 „მას ვერას დროს ვერ მისწვდება კაცის გული, კაცის ხელი...  
 „არის წმინდა პოეზია და მუსიკა არის შორი,  
 „მაგრამ ქვეყნად არ არსებობს — ცის ალერსი, ცის ამბორი.  
 „არის სალვო ბილიკები ამ სიცრცისკენ მიმავალი,  
 „აირჩიე მათვან ერთი, აირჩიე ერთი კვალი”!

შავი წიგნი არ თავდება, შავი წიგნი შვაზე წყდება...  
 მას იქით კი კაცის გრძნობა და გონება ვერას სწვდება.

## მიმღერე რამე.

როგორ მიყვარდა! მაგრამ ხსოვნა იმ ტრფობის სრულის  
 დარჩა ჩემს გულში წაუშლელი და მოკამქამე.  
 იმას იგონებს უძლურება დაღალულ გულის.  
 ჩემო ნუგეშო, იმ სიწმიდის, იმ სიყვარულის  
 მიმღერე რამე.

ყმაწვილკაცობა, სიხალისე სიცოცხლის დილის,  
 ისე გამიქრა ვით ბურუსი... როგორ ვეწამე!  
 ეხლავ მაშინებს კმუნვარება მომავლის ჩრდილის.  
 ჩემო ნუგეშო, იმ სიცოცხლის, იმ სიყმაწვილის  
 მიმღერე რამე!

მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო კა მისი მენების,  
 მაგრამ კაც გესლით დაუძლურდი და მოვიშხამე;  
 აი ნაყოფი ქარიშხლიან სიცოცხლის ვნების,  
 ჩემო ნუგეშო, იმ ბრძოლის და იმ გატაცების  
 მიმღერე რამე!

ახალგაზდათა დაცემის და დაუძლურების,  
 ახალგაზდათა მწუხარების მე ვარ მოწამე;  
 მეც იმათ შორის უკურნებელ წყლულებით ვკვდები,  
 მიმღერე რამე, გევედრები, გემუდარები,  
 მიმღერე რამე!

---

## შავი შორანი.

გზა გავიარე.. მსურს მოვიხედო  
 და დავინახო მთისა ქედები —  
 შავი ყორანი გზაზე მომჩხავის:  
 „ნუ იხედები... ნუ იხედება“!

გზაზე მიედივარ.. მსურს გავიარევით  
 გასავლელი გზის სიერცე ულვლელი.  
 შავი ყორანი ისევ მომჩხავის:  
 „შორს ნუ გასცერი.. შორს ნურვის ელი!“

მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,  
 ამ სიბნელეშიც გაჭირდა გაელა;  
 შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,  
 შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა.

გადაიტრინა და მომაგონა  
 დრო, უბედობის გვერდით მხლებელი,  
 უამი, ყველაფრის მქინელ-გარდამქინელი,  
 სიერცე, ყველაფრის მიმტევებელი.

იაზ 1965 წელი

## რომ თავშანი სცეს.

მჩე მოელვარე, ლაჯვარდი ცა, თეთრი ზოლი მთის —  
დღის მოქამარე შევნებაში კანკალებს და თრთის...  
გრილი ნიავი მწვანე ბუჩქებს, დაბურულ ბალებს,  
ცისფერ ყვავილებს, ხავერდოვან მინდვრის ბალახებს  
სძრავს... აკახანებს...

ნორჩია მცენარეთ მსუბუქ თრთქლით, ყვავილთა სუნით  
შეზავებული ოდნავ სუნთქავს მშვიდი ეთერი  
და გაზაფხულის პირველ სხივებს წყნარი ზუზუნით  
ეთამაშება უთვალავი პეპელა — მწერი,  
და მათ გარშემო ბუქ-ბუქად დგას ყვავილთა მტვერი.

გამოდის გარედ ადამის ძე ლონე-მიხდოლი: —  
ქვებს და ბალახებს, ცის სივრციდან ჩამოწოლილ მზეს,  
ხეებს და ტყეებს, საოცნებოს რასაც კი ხედავს,  
ხელის შეხება რისთვისაც ჯერ ვერ გაუბედავს, —  
რომ თაყვანი სცეს.

## პოეტი.

06.08.2008

რამდენჯერა ვსთქვი თუ ვისთვის მინდა  
 სევდიან სიმთა მწუხარე ეღერა?  
 რამდენჯერ იჭვი მეწვია წყნარი,  
 რამდენჯერ ხელში ავიღე ქნარი,  
 რომ დამემსხვრია და ორ მემდერა.

ამ დროს მწყუროდა, რომ მიმემალა  
 ჩუმი ქვითინი და სიმთა წყირა.  
 ხალხისთვის, ჩემში რაც ძლევას ქმნიდა  
 ჩემი ოცნება და წმინდათ-წმიდა,  
 დაუბრუნებლად, მთლად შემეწირა.

მეც კშონთქმულიყავ მწყრალ ერიამულში  
 მომეკლა სულის ველება წრფელი,  
 მაგრამ სიმღერის გადავიწყება  
 ჰანგთა დამარხვა და დამიწება  
 ვერ შევიძელი, ვერ შევიძელი.

სიმღერავ, უხმე დალლილთ, დაქანცულთ  
 აჩვენე ცეცხლში ნაწილთობი გული,  
 დაე, ისმენდენ ჰანგს დაუცხრომელს,  
 დაე, იცოდენ, რომ ყოფნის მგმობელს  
 მათდამი კიდევ აქვს სიყვარული.

## შემოდგომა.

I

ობოლ ფოთლებს, ნაზ ყვავილებს  
 ქარიშხალი თავზედ ივლებს;  
 კორდი კდემით თვალებს ნაბავს,  
 მორცხვად თავს ხრის, სუნთქვას სძაფავს,  
 ტანთ-გაზდილი და შიშველი  
 მთას შესწივის: „ვერ მიშვერლი“?  
 ვიღაც კვნესის, ვიღაც ჰკვდება,  
 ვიღაც ნისლში ინაკვთება.

II

მოწყენილია მიღამო, თეთრი  
 ნისლის ზღვა მინდორს გადაეფინა.  
 გადმოიშალა სიცივე მკვეთრი,  
 ჩემს არსებაში იპოვა ბინა.  
 მომბეჭდა ყოფნა... სულს შეეთვისა  
 აზრი: დაფარვა ქარიშხლის ფიფქით,  
 ვით ყრუ ძახილი უკვდავებისა  
 დროთ საზღვარს იქით, დროთ საზღვარს იქით!

## გზახე.

თვეოლ-უწვედენელი, შორი, ვრცელი, დაუსაბამო,  
 ჩემი, მყუდრო და სევდიანი იყო საღამო.

თოვლზე დაკუმულ სისხლის წვეთის მსგავსათ მზის რგოლი  
 ღრუბელთა შორის იშლებოდა სხივ-ანათროლი.

ლურჯი ბურუსით ინთქმებოდა ხშირი ტყე-ველი  
 და მყუდროება იყო ირგვლივ დაურღვეველი.

ამ დროს მომესმა სევდიანი სიმღერა გზაზე:  
 ეს ხომ მხედარი ოცნებობდა სხვა ქვეყანაზე.

გადაიარა ჩემს თვეოლთაწინ და მიამალა,  
 სამარადეამოდ გაურკვევი აღმიძრა ძალა.

და მივდიოდი მარტოდ-მარტო სევდიან გზაზე  
 და ისევ-ისე ვოცნებობდი სხვა ქვეყანაზე.

ლურჯი ბურუსით ინთქმებოდა ხშირი ტყე-ველი  
 და მყუდროება იყო ირგვლივ დაურღვეველი!

## ტემი.

ზეფირს ფოთლებით  
 კალთა ევსება,  
 ზამბახს ოცნებით  
 გალერსება:—  
 „გამომყე, წიმო“!  
 ხარობს მიღამო.

ზეფირს ქნარი აქვს  
 დაუგლე ჟური:  
 დაგრვავს, მოგხიბლივს  
 ჰანგი ველური,  
 დაგძლევს ეკტაზი...  
 ციური, ნაზი.

ეოლ, მთა-ბარი  
 ნუ შეიწუხე...  
 ტყეს ტალღა ჩქარი  
 დაჭკარ, დაჭკუხე!  
 ზვირთი დასძარი.  
 ჰა, ჩემი ქნარი!

---



---

## კორდენ.

რა სიწყნარეა! მთვლემარე კორდზე  
მე შევაუენე დალლილი ცხენი.  
ლელეთა შორის აურდა ნისლი  
ნაპრალთა მეტადზე გადანაფენი  
და მთვარის შუქი მინელებული  
ტყეებს და ველებს უვლის გარშემო.  
არც სიო დაჭქრის, არც ხის რტო იძვრის...  
რა სიწყნარეა, ოჟ, ღმერთო ჩემი!  
ჰეი, გაიღვიძე, ქართ ძლიერო,  
გამოაღვიძე მიღამო მკვდარი,  
გასწი, უამბე ადამიანებს—  
თუ როგორ ვკვნესი მიუსაფარი  
და თუ მათ შორის აღმოჩნდა ერთი  
ჩემი ობლობის თანამგრნობელი,  
ისიც დიდია მისთეის, ვისოვისაც  
ზღვა—უდაბნოა მთელი სოფელი.  
ჰეი, გაიღვიძეთ, ტყისა ფოთლებო,  
და თუ ოდესმე დაობლებული  
მოვიდეს აქ ის, ვისაც ვაებით  
ჩემთა სიმღერამ დასწუკიტა გული,  
უთხარით, რომ მას დიდხანს ველოდი,  
დიდხანს ველოდი ყმაწვილურ ეინით,  
და ციფ სამარეს ამოვეფარე  
დასუსტებული ამ მოლოდინით!

## భూమిలో.

నొయిది వ్యాచారాల వ్యాపిసిన్నా,  
క్షేపి శ్వేతి లా మింపిన్నా;  
శ్వేష్యుడా, బ్రుగ్గేశ్మ, దుల్పుల్లిస సత్యేన్నా,  
మింగ కొస్వెన్నా, మింగ కొస్వెన్నా.  
మార్క్రూజా గ్రహి, న్యూమాల వ్యోధిత  
మతిస కొంక్యేభి రూజ్రాక్యేబిస వ్యాచి,  
గాజ్యుల్చెన్తిల్లిస ట్ర్యుబిల్-స్ట్రుంజ్యుఎబిత  
మింగ్లి దున్గెబా, మింగ్లి సామ్యాచి.  
డిల్ డాజ్యాన్ ప్రుల్లి, ల్యాన్-మిండ్ఫిల్లి,  
సాంవార్ప్రథల్చెబ్యుల మింగ్లి ఐజిత క్వడ్యెబా,  
ప్రా నొండ్వల్లింగ్, ప్రా మింప్రెన్డిల్లి  
గాజ్యేర్మ్యార్తాల్చెబ్యుల త్రీబాశి ట్యూర్ఫుల్ఫ్యెబా,  
డా గామ్ప్యెప్ర్యాల్ భిన్డ-బ్యున్డి లామిస  
క్వెప్యున్డాల మింసప్రుంగాస మింప్యుబ్యుకి ట్యుర్త్యెబిత,  
జ్యేజిల్లి వ్యెల్చీ స్యె సింగాస, లామిస,  
బిన్డి గాండాండ్ర్యే మింప్యుల్ఫ్యెబిత.  
తాయ్కాజ్యిన్డర్స్యుల్లి అన్ శ్వేచ్ఛెంగ  
అన్ప ప్రాప్తుసి త్రాంగి, అన్ప అంగ్గిసి త్రాన్గి,  
గార్మిన్డెబ్యుల్లి త్రీప్యి అన్ మింప్యుంగ  
అన్ప స్యెప్పా సింగిస డా అన్ప క్వెశాన్గి.  
శ్యేజాద్యోబ్యుల మిండామ్మా-అంగ్స  
చ్చిమ్మింగ్ శ్వతంతిస న్యెత్రాచి మిల్లి,  
క్విడిత-క్విడ్రెమ్దె మింగిస మింప్యుల్ఫ్యెబిత  
గామతబార్ గ్యుల్-మ్యెర్లింగి న్యెప్పుస ల్యుమిల్లి.  
అప్పుర్లు మింప్యుంగ్, అప్పుర్లు వ్యున్బాచి;  
వ్యెర్లుబ్లిసట్యుర్ శ్వేపి గాంప్యుంగ వ్యెల్లి,  
త్రీబాస డాంఫ్రుక్యుంగ శ్వేపి నొంబాచి,  
మతా ఆంట్యెత్రూ శ్వేప్పు-ట్రిట్యుల్లి,

თითქო მიწიდან სურს ამოაშროს  
 უმჩნევი ფიქრი და ცრემლთა ფრქვევა,  
 და მე მგონია - მიწა არას დროს  
 დუმილიდან არ გამოერკვევა.

## სარქესთან.

გუშინ მთელი დღე ვხეტიალობდი,  
 მომწყინდა რაღაც.. აღმეძრა წყლული..  
 ჩემს ოთახში კი ლამით დავბრუნდი  
 ისევ უმიზნოდ დალონებული.  
 არ მსურდა სანთლის გაჩირილდნება,  
 საქმაო იყო მთეარის კაშაში:  
 ის ისე ნაზად იცქირებოდა  
 ლია სარქმლებში და ფანჯარაში.  
 სარკესთან მიველ და დავინახე  
 სილრმეში სახე ჩემი ვნებული,  
 როგორც ცხედარი - მთეარის ნათელზე  
 ლიმ-წაშლილი და გაფიტრებული.  
 დიდხანს ვუცქერდი ჩემს მეორე ჩრდილს  
 დიდხანს მის სახეს ვუკვირდებოდი,  
 ვიტანჯებოდი, მაგრამ ამ ტანჯვით  
 გულის სილრმეში მევე ვსტუბებოდი!

## ახალ ცისქართან.

განთიადს სძინავს ლურჯ სარეცელზე,  
 ჯერ დილის სით არ მოხვევია,  
 არ დასცემია ყვავილებს ნამი  
 და მათ მკერდს ვნებით ჯერ არ მოხვევია.  
 მთვარის რბილ ნათელს ფერი ელევა  
 ვარსკვლავთა გუნდი კლდის ორგვლივ დნება  
 და დაშძიმებულ ნისლთა თეთრი ზღვა  
 მთის კალთებიდან დაბლა ეშვება.  
 დარჩი, დეთაებავ! სულს ღონე-მიხდილს  
 სურს ალმაღვენელ ოცნებად სწამდე,  
 დარჩი! შსურს ჩემი უსალვრო ვნებით  
 ვიქანცებოდე განთიადამდე.  
 მომეცი მე ის უკანასკნელი,  
 რომელსაც შენი მხურვალე გული  
 ჯერ ვერ იცილებს... მომეცი იგი  
 გთხოვს. გვევდრება შეყვარებული.  
 და დავრწმუნდები მე მხოლოდ მაშინ,  
 რომ ჩემს გარეშე ღმერთი არა ჰყავს  
 მას, ეინაც სულის დაუნანებლიად  
 ახალ ცისქართან ყველაფერს ჰყარგავს.

## წუხელი, დამით...

წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა  
 და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა.  
 მე მქონდა ბინა, თავშესაფარი,  
 მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა.  
 ხან კარებს უკან ატირდებოდა  
 ხან დარაჯობდა სარკმელის წინა,  
 გადამიშალა თვალწინ წარსული  
 და მწარედ, მწარედ ამაქვითინა.  
 როდესაც მისებრ მიუსაფარი  
 ვეხეტებოდი სევლიან ღამეს,  
 რამდენ ტკბილ ფიქრებს მოელო ბოლო  
 რამდენ ოცნებას, რამდენ სიამეს...  
 წუხელი, ღამით ქარი დაჰქროდა  
 და როცა დილით გამომედვიძა  
 ყვითელ ფოთლებს და დამსხვრეულ რტოებს  
 მიმოეფარათ ყამირი მიწა.  
 ბაღში გავედი... იქაც ბილიკზე  
 დაცვენილიყო ფოთოლი რბილი  
 და დიდხანს, დიდხანს ვხეტიალობდი  
 წასრულ სიზმრებში გადაფრენილი.

---

00062 .07667

## ქვითელი ფოთოლი.

შემოდგომისა ველურ ჰანგში  
 კქნება ფოთოლი;  
 ყმაწვილი გულიც უნუგეშო  
 ფიქრები ღნება.  
 მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს  
 კვლავ გაზაფხული —  
 და სიყმაწვილე კი არას დროს  
 არ დაბრუნდება!  
 ქვითინებს ქარი, თან წაიღებს  
 ყვავილთა ჩურჩულს...  
 ჰანგი საზარი სულს მიშფოთებს  
 და გულში მწედება —  
 რომ ვერას დროს ვერ ველირსები  
 მე ჩემს გაზაფხულს,  
 და სიყმაწვილე კი არას დროს  
 არ დაბრუნდება!

---

## სარქმელთან.

სარქმელთან ეზივარ. მალე, სულ მალე  
 სევდიან ჰანგებს დავუგდებ მე ყურს:  
 მოვა მოხუცი ძალ-მილეული  
 და ააკენესებს ჩემს კართან ფანდურს.  
 გადიფრენს თვალწინ ძეელი ოცნება  
 შეიკუმშება ტანჯვებით გული,  
 რომ არას დროს არ განმეორდება  
 დრო ბეღნიერი, დრო დაყარგული.  
 და გაეცვები ჩემს მარტოობის გზას  
 სამარისაკენ მიმავალ გზამდე..  
 კვნესის ფანდური და მეც ვიკვნესებ..  
 უნდა ვიკვნესო, მაგრამ სანამდე?  
 სარქმელთან ეზივარ.. მალე, სულ მალე,  
 სევდიან ჰანგებს დავუგდებ მე ყურს:  
 მოვა მოხუცი ძალ-მილეული  
 და ააკენესებს ჩემს კართან ფანდურს!

---

## მიმდინარეობის განვითარება

\* \* \*

ხშირად ვოცნებობ და შევსცერი ცას,  
 ვეძებ უხილავს, ვუცდი ვიღაცას.

მე ვმღერი მაშინ და მთრთოლვარე ხმას  
 სევდით ვუერთებ ჩამჭრალ გულის თქმას!

ჩემს გულში ვეძებ ვარსკვლავებს, მოვარეს,  
 მეგობრებს, სატრფოს ეშნით მლელვარეს;

არ ანათებენ ისინი ჩემს გულს,  
 არ-ლა მომჟენენ შვებას, სიხარულს.

ბნელდება მოვარე, თრთის ვარსკვლავი ცის  
 და ძირს ეშვება ოცნება სივრცის...




## მეუნვარება.

როცა მზის სხივი უკანასკნელი  
 მოსწყდება მყინვარს და მიიძინებს,  
 როცა ბუჩქებში ნიავი ნელი  
 ნახად და წყნარიად წაისისინებს,  
 როცა ბულბული სალამოის ეამს  
 მიღამოს უმღერს მომხიბელელ ნანას,  
 როცა სიჩუმის ღმერთი დარიჯად  
 ციდან დასცეკრის მთელსა ქვეყანას;  
 როცა ტბის ფსკერში ჩაიქარვება  
 სახე-მიბნელილ მთვარის ღიმილი,  
 დედავ ბუნებავ! იმ დროს მხოლოდ მე  
 რისთვის გამირბის ნეტარი ძილი?  
 ომ, ვინ დამწყევლა, გარეწარივით  
 ტყის საღრმეში რომ დავეხეტები?  
 ან აჩრდილივით რად მიდგანან წინ  
 გარდაუვალი და ჩუმი მთები?  
 წყეულ იყოს ის შავ-მნელი წუთი,  
 როს ის ვარკელავი კაზე ჩნდებოდა,  
 სადაც ეწერა, რომ ჩემს განჭირულს  
 სულს მოსვენება არ ღირსებოდა,  
 რომ სიყმაწვილის შეკნარ ცვავილებზე  
 არ-არა მშთენოდა წყლულთა მაღამოდა,  
 რომ ჩემს ოცნების აუსრულებელს  
 დაითხოვეს თავისი სამირადებებით.

5790

ES



## განვირულება.

ერთ კედელს იქით როიალის ხმას  
აჟყვა ქალის ჩმა მშვიდი და ნელი...  
მოვყევარ ფიქრებს... აგერ ქვითინით  
მისწყდა იყორდი უკანასკნელი,  
სიჩუმე მეფობს... მაგრამ მე მაინც  
არ მესვენება, გამიკრთა ძილი.

ისევე ვდგები და ტანზე ვიცმევ,  
ოთახს ვყილდები სუსტი, დაღლილი.

იგივ სიჩუმე მეფობს ქუჩაში,  
დაპქრის, სისინებს ნიავი გრილი,  
ცაცხვი ირხევა მთვარის ნათელით  
მოთეთრებული და მოვერცხლილი.

რას ვეძებ ნეტა ამ ხეტიალში?

ბელნიერებას? — ოჯ, არა, არა!

სიყვარულს? — განა ამ სიყვარულმა  
მე ოცნება არ დამისამართ? —

მე საფლავს ვეძებ რომ დაშიამოს  
და დამავიწყოს გულის ღრმა წყლული,  
ეს კი არ არის ბელნიერება,  
არც მეგობრობა, არც სიყვარული.

მწირე ნაღველი დაგუბდა გულში,  
სიცოცხლის ძვერა იდუმლად ჰქონება,  
მის დავიწყებას დავეძებ მარად  
და არსად არის ეგ დავიწყება.

ისევ სიჩუმე მეფობს ქუჩაში...

დაპქრის, სისინებს ნიავი გრილი,  
ცაცხვი ირხევა, მთვარის ნათელით  
მოთეთრებული და მოვერცხლილი!

୩୫୬୨୦

## ବୋଲିବାରେ.

ରହୁଥାବେ ମହିନେ ପାଇବାରେ  
 ଦା ସବୁଙ୍କ ଦାବାଦିନକିମ୍ବା ତାପିବାରେ  
 ଉପରୁଦ୍ଵେଷବାଦ ମାତ୍ରିକ ମନାତମିଳିବା  
 ମହିନେରେ ଦା ସିଲାମାଠିରେ.

ମାଧ୍ୟମରେ ରହିବାରେ ଏହିପାଇଁ ପାଇଁ  
 ଖୁବିରତି ଗଢିବା ପୂର୍ବକ୍ଷେତ୍ର ମନ୍ଦିରକାଳିକା,  
 ବିନ ପାଇବାରୁବାବୁକାଳି ଏହି ମନୀଶବନ୍ଦିବା,  
 ରା ଶୁଣି ଶେଷକ୍ଷମିକି ବ୍ୟାକିବା ଏହିପାଇଁ?

ଦାବାଦିନ ସବୁଙ୍କ, ଶୁଣି ପାଇଁରା,  
 ଏହି ପାଇଁରୁବାବୁକାଳି, ନାଲୁବାନ ଗୁଲିଛେ  
 ତୁମିଲିଲି ମନୀଶବନ୍ଦି ଶେଷକ୍ଷମିବାରେ  
 ହେବିଲି ପ୍ରାଣିଲେବନ୍ତିରେ, ହେବିଲି ବ୍ୟାକିବାରୁଲିଛେ  
 ଏହି ତୁ ପାଇଁରୁବାବୁକାଳି ପାଇଁରା ନାଲୁବାନ  
 ଗୁଲିକି ବ୍ୟାକିବାରୁକାଳି ଗର୍ଭବନ୍ଦିବା —  
 ପ୍ରାଣିପାଇଁ, ରହିବା ମେହି ମନୀଶବନ୍ଦିକାଳି, ଦାମଲୁକାଳି  
 ହେବି ନାଲୁବାନି, ହେବି ପରିବର୍ତ୍ତନି!

ବୋଲିବାରେ ଏହି ଏହି ମହିନେ ମନୀଶବନ୍ଦି  
 କାହାର କାହାର ଏହି ଏହି ମହିନେ ମନୀଶବନ୍ଦି

## უდაბნო

სიყმაწვილეში მე ვჭერებოდი, როგორც ფოთოლი,  
ობოლი ეიყავ მე მაშინაც, სულით ობოლი.

ეამი მიჰქროდა ახალი დღით განრინებული,  
არ მშვიდებოდა ჩემში მაინც გული ენებული.

დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა.  
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა.

რად მინდა სატრფო, ნათესავი, თანამგრძნობელი?  
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი სოფელი.

მოვკედე და გული ვის დავწყეოტო, ვინ დავაობლო?  
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი სამშობლო.

რად მინდა მიკაწვდე მიუწლომელს, ვრცელს და უსაზღვროს?  
ჩემს უდაბნოს ვერ გავსცილდები მაინც ვერას დროს.

მეგობრობაში, სიყვარულში, შურში, მტრობაში,  
მარტო ვიქნები და რა ეპოვ მარტობაში?

ვიმღერო? მაგრამ ჩემთვის რაა ჩემი სიმღერა?  
წუთით მიტაცებს, სამუდმო წყლულს კი ვერ შლის, ვერა!

డా త్వ శాఖలు విన్దమ్మ ర్యాబ్రెడ్స క్రీమి స్క్రేప్‌లొం బెమ్బిత,  
నీ క్రీమి బెమ్బిలు మిష్యూస్.. మే విస ట్రిప్పుచ్చ క్రీమిలు ట్రిమ్‌బిత?

అన భేగంబార్లిస త్వ మంమేశిలు న్యెక్కార్లి బెమ్బి—  
సాడ శ్రేమ్మెట్లేద్స సిప్పుచార్లులొ లూ భేగంబార్లొ?

ఎర్లూ త్వ మపుర్క్రెడ శ్రేప్‌లు గ్యూల్స స్క్రేప్‌లొ-నొట్‌వ్యేల్స,  
రొమ క్రెల్లాండ శ్రేమ్మెట్లొ థ్రేపిసాక్సెన అల్వాష్యుర్లా బెల్లి,

ఎం, సాడ బార్, సాడా, శ్రీహ్యేశ్వర్లొ రాంథ్రె డాల్లి,  
సిప్పాల్‌మోర్లిస శ్యామి బిసల్లి రొమ గామాజ్యాల్లి!

## დაკარგული ეძემი.

ომ, ევა, ევა! ედემს დაკარგულს  
ოდეს ვიგონებ თვალი ცრემლს ლვრიან,  
დარღით სამარე მე ვამეთხრება!  
დავიღუპები ადრე თუ გვიან.

და ვერ ვავიგებთ სიცოცხლის მიზანს  
დატყვევებული შენის შვენებით  
სამარეს ვპოვებთ, და უფრო ადრე  
სხვა სამარეში ჩავესვენებით.

გაზაფხულია და ყვავილები  
მორცეად თავს ხრიან იქაც და აქაც.  
მაგრამ გამქრალს და ადრე დაკარგულს  
სამოთხის ყვავილთ არ გვანან რაღაც.  
უმიზნო ხელი შემომქმედისა  
ხეებს ფერადი ძაფებით ქარგავს  
მაგრამ გამქრალ და ადრე დაკარგულ  
სამოთხის ხეხილს არ ჰგავს და არ ჰგავს!

საუკუნეთა შორი გრეხილი  
ჩევნოვის მარადის მიუწდომელი  
შორით დაგვცინის, როგორც სატანა  
ვინემ ჩვენ—უფრო მაღლა მდგომელი.  
მწარე ნაღველით დაჩრდილულ გულში  
მისი აჩრდილი რომ ისახება,  
მის გეერდით ჩვენი შავი სამარე  
უფრო ცხოველად დაინახება.

ოდეს იყითხონ ადამისა ძეთ  
 ეისი სურეილით, ვინ და რად ჰქმნიდა,  
 ვინ უპასუხოს? ან მათი სულის  
 თავისუფლება ვინ შეისყიდა?  
 ვინ ჰკითხა ამ სულს ქვეყნიდ გადმოსულა,  
 ვინ ჰკითხა ისევ უმიზნოდ წასვლა?  
 და ქვეყნიურთა ვნებათა გროვის  
 ვის სურს გარდამქნელ თიხაში გაცვლა?

სამარალეამოდ ვინც დავვიკარგა  
 დაუკრეფელი სიცოცხლის ბალი,  
 ვინც სიცოცხლეში დაგვასამარა  
 ის ძალა იყო — შენ იარაღი.  
 თუ უკდავების მომნიჭებელიც  
 ხვალ დამტირებლად გადაიქცევა —  
 რა უნდა ვითხრა შენ, ვინაც პირველ  
 ივემე ხილი? ოჰ, ევა, ევა!

ლრო მოვა და ჩეენ ურემლით ციურით  
 ციც სამარეში დავინამებით,  
 და ჩეენი ყოფნა ამქეეყნიური  
 გამოვისყიდოთ ტანჯვა-წამებით.  
 ტებილია შხამი, თუ უმიზეზოდ  
 ბეღნიერება შოი შხამება,  
 კელავ დაგვიბრუნებს ბეღნიერებას  
 და გულსაც გასწმენდს ჩუმი წამება.

## მთაწმიდაზე.

მახსოვს: ჩემს ბედურულ სიყმაშვილეში  
 ჩემებრ მწერარეს ვეწვეოდი მთას,  
 და ლამე თავის სილამაზეში  
 შემომახვევდა მშობლიურ კალთას.  
 სევდიანი და დაფიქრებული  
 ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე,  
 სცურავდა მთვარე და თეთრი ნათლით  
 ივერცხლებოდა გარს არე-მარე.

თეთრი ზოლები შორი მთებისა  
 იყარგებოდენ ცისა სილრმეში  
 და ხის ფოთლები ფერხულს უვლიდენ  
 ნიავის ველურ სიხალისეში.  
 ქვევით კი ნისლით შემოსუდრული  
 და მოწყენილი ოხრავდა მტკვარი,  
 ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა გმინვა  
 ძლიეს გასიგონი, ძლიეს ამომსკურარი.

მე კი ვცდილობდი არ გამეგონა  
 კაცთა გულიდან ნაფეთქი ხმობა:  
 ღამის უსივრცო საკურთხეველთან  
 იყარგებოდა კაცთა ობლობა,  
 მე ლამის სახეს უფრო ვწვდებოდი  
 ვინემ კაცისას, როცა ნარნარი  
 ცის უდაბნოში სცურავდა მთვარე—  
 ციდან ძახილი მესმოდა წყნარი.

భేదార్థిగండా వ్యాఖ్యాని మహార్థ,  
ఖండమిలిస అన ఏనిస ఎమ క్వెప్యున్డాడ రూబిస,  
ఖండమీలిస ఎమ్మెన్నెబస మత్వాఖిస బంత్రెల్లి  
డా ఎఫ్ఫెర్హాట్రెబస వ్యాఖ్యావ్యులింప్యత క్రిస్కాసి.  
మత్వాఖ్యై, శ్రేణి ఐపి ఏగ సాంప్రద్యుమిల్లిం,  
ఖండమీలిసాప్రగుల్లింత డావార్థాఖ్యైబండి,  
క్వెప్యున్డాస రూశ్నిస డా రూలింథిబిస  
శ్రేణిస మినాంశేబ్దుల శ్రేష్ఠిస ఎఫ్ఫొర్హెబ్దిస,

అన న్యూ శ్రేణిట్యుస అన్ప సాంప్రద్యుమ్మె  
అన్ప వ్యోల్చిండి, అన్ప గ్రహిం వ్యామి.  
న్యూ రూపాంధ్రాం మిమ్మెన్నోక్కుబా,  
గాంచ్చుసాంల్యోర్హెల్లి న్యూ జామ్యామి.  
న్యూ లి గ్రంథింధిం గామింట్యుక్కుమ్మెల్లి,  
ఖండమీలిసిప్ర మహార్థాఖిస వ్యైర శ్రేష్ఠిమ్మింసి,  
శ్రేమ్మిమ్మెలిస బ్యెల్లి గామింట్యుసాంబావ్స  
డా ఎడామింసి వ్యైర శ్రేష్ఠిమ్మిం.  
శ్రేణి ఐపి శ్రేణిల్లిండ, త్రై ఖండాప్ర వ్యగ్రంథింబండ  
మాంర్థింపంబిశి శ్రేణిల్లిమిసిస,  
ఖండి లామిస సాబ్సి రూట్యుర్లి వ్యుండ్రెబండి,  
రూట్యుర్లి వ్యుండ్రెబండి, వ్యుండ్రె క్రిపిసిస.

---

## სოფელში.

ყრუ ხმაურობა-ქუხილისგან გამოქცეული,  
 აპა, შევდივარ კვლავ სოფელში ღონე-მიმქრალი...  
 ფიქრნი გულს სწერენ მომავალით გამოწვეული  
 მსურს დავივიწყო და ცხოვრება ვიწყო ახალი.  
 უკეთესი დრო, სიყმაწვილე აქ უნდა ჩავკლა,  
 უნდა ჩავიქრო გართაცების გიგური ეინი,  
 რომ კიდით-კიდეს არ ესმოდეს ჩემი სიმღერა,  
 ქარიშხლიანი სიყმაწვილის მწარე ქვითინი.

ჩემი ბუტბუტით ხის ფოთლები მეგებებიან,  
 უსიბმრთ ძილში ღრმად გართულან ალვის ხეები,  
 მტრედის ფერ ცაშე მიბნედილნი ვარსკვლავნი თრთიან,  
 განსასვენებლად მთებს დართხმიან ცის კიდეები.  
 ცხოვრების ზეირთთა დაუცხრომელ ტრიალის შემდეგ  
 ყრუ სასაფლაოს მომავლებს სოფელი მოელი,  
 სადაც სულდგმულნი არ იძერიან გრძნეულ ძილადან  
 მყუდროება და სიმშევიდეა დაურღვეველი.

ბუნებავ ტებილო! ვურიგდები ჩემს სევდიან ხვედრს,  
 შენ შეითვისე და შეიტებე მწუხარე შეილი,  
 უთხარი ნანა, როგორც დედა ეტყვის თავის შეილს  
 და მიაძინე შენს გულმკერდზე ღონე-მიხტილი.  
 რომ ჩარტობის დამორგუნველ და დამღუპველ ეამად  
 ჩემს სულს იდუმალ და შეუმჩნევ სიამეს ჰგვრიდე.  
 განსაცდელშია დამსხვრეული და ციკი სული,  
 მიუალერსე ავადმყოფ გულს და დაამშევდე!

## ხომლი.

ნათელი ღამე, გაშლილი ზღვა, ცის დასავალი  
 სდარიჯობს ეთერთ სიმშეიდესა და მყუდროებას.  
 მარტოდენ ზეირთი მოვერცხლილი და ძილ-გამფრთხალი  
 დროგამოშეებით გაიტაცებს საწყობოებას,  
 თავის სიზმრებით, თავის მწარე მოგონებებით,  
 დალლილ-დაქანცულს უსაფუძვლო სიცოცხლის ენებით.  
 მე მახსოვს და არ მავიწყდება ვარსკვლავთ კაშაში,  
 შუქთა ფერხულში ისე ნაზად გადაშლილიყო,  
 და მხოლოდ მარტო ვარსკვლავებმა იცოდენ ცაში  
 რომ ქვეყნად ჩემსე ბედნიერი არავინ იყო.  
 ეაში რბიოდა... ვერ ასწრებდა შეხედვას თვალი  
 და შეეჩინა გული სევდას, ურწმუნოებას.

ნათელი ღამე, გაშლილი ზღვა, ცის დასავალი  
 ისევ სდარიჯობს სამშეიდესა და მყუდროებას.  
 ვარსკვლავთა ხომლი ისევ დნება შუქთა ფრქვევაში,  
 ზღვისა ყვავილებს უალერსებს სამხრეთის ჭარი,  
 ეხლაც კი; მხოლოდ ვარსკვლავებმა იციან ცაში  
 ჩემი ფიქრები და წარსულის მწარე ზღაპარი!

—  
—  
—

## AVE MARIA.

ელვარებს, დნება წმინდა ნათელი  
 მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მურქვეველი.  
 ძლიერო სულო! შენკენ მოილტვის  
 ლოცვა-ვედრება და საკმეველი.  
 რა რიგ მწყურია - შენს შორე-ახლოს  
 განახლებისა მოვიკლა ეინი,  
 და ვუცქეროდე - თუ როვორ ბრწყინვას  
 ღვთაებრივობის შენი გვირგვინი.  
 რამდენი ლამე გამითევია  
 მზის ამოსვლისთვის რომ შემეხედა,  
 მე ვერ ვამჩნევდი თუ როვორ რთაედა  
 მთვარე ვარსკვლავებს, როვორც შეილთ დედა.  
 ასე, არ მინდა ვუცქირო წმინდანთ,  
 ვარს რომ გარტყიან, ყველა ბნელდება,  
 და თვალწინ მხოლოდ შენი აჩრდილი  
 უხილოვ ძალით ხორციელდება.  
 ომ, ეს ნათელი, თვალთა ნათელი  
 გულის სიღრმემდე მწვდება, მედება!  
 რა არის შენთან კაცთა მორკილი  
 ან ხორციელის შემოქმედება?  
 იყო დრო და შენ ქვეყნად იყავი  
 მაგ განუსაზღვრელ მშვენიერებით,  
 მაგრამ რით უნდა დაგეტყბო გული,  
 კაცთა ლალატით თუ ცბიერებით?  
 ეხლა აღარ ხარ და ჰქმის ოცნება

සුයුදාවේ සාක්ෂි යුද්ධාලන උපළුස්,  
රුහුමෝල්සාපු මාලුම් තුළදාපු වෙළුග්රී  
දාඟලුවෙශු දා දායිමාර්කිපළුස්.

මාස්ථි යුවෙළා, රාසාපු දාලුපිලි  
ආදාමින් ජ්‍යෙෂ්ඨාප යුදියුස්,

ඡුරුන්දා, සුළු දා සිලුම්මාංශු

කිවෙන් ලුපුවාශිෂා, මුදාම රුම ත්‍රිගුද්ස්.

ශුලුවාරුද්ස්, දුන්දා එමිලා නාතුලි

මුරුතුලුවාරු-මතරුතුලුවාරු මුශ්ටා මුරුක්වාවෙලා...  
අදාම ලුතිසාය! ජේත්සුයෙන ම්‍යාවලුවා

ලුපුවා-වෙදරුදා දා සායුම්වෙලි.

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

—

## ჩემი ძნარი.

როდესაც ხალხთა ერიამულში დაეიკარგები,  
რომ მოვიპოვო კაცთა შორის თავშესაფარი,  
მაშინ ქნარი სდუმს, სდუმს, სიჩუმეს გარემოუცავს,  
მწარე ნაღველით ავსებული სდუმს ჩემი ქნარი.

როდესაც მტრობა, შური, დევნა ირველივ მეხვევა  
ზედ გულზე მაძევს სასიკვდილო სევდის ლახეარი,  
მაშინაცა სდუმს ჩემი ქნარი სევდით მოცული,  
მწარე ნაღველით ავსებული სდუმს ჩემი ქნარი.

როდესაც მოძმეთ სურთ ცოცხლადვე დამასამარონ,  
სურთ რომ შეღებონ ჩემის სისხლით წამების ჯვარი,  
იმ დროს ქნარი სდუმს და სიჩუმეს გარემოუცავს  
მწარე ნაღველით ავსებული სდუმს ჩემი ქნარი.

მაგრამ როდესაც გავშორდები ქვეწარმავლობას  
სულს არ მიხუთავს უმიზნობის ქსელი საზარი,—  
განვლილს იგონებს ჩემი ქნარი აზვირთებული,  
აზვირთებული, აღტყენილი ელერს ჩემი ქნარი.

როცა ხალხში ვარ—მექარგება რწმენა, ხალისი,  
როცა მარტო ვარ—მაქვს სამგოსნო წმიდა ტაძარი;  
ტუე, მინდორ-ველი, მთის წიაღი, კლდის ნანგრევები  
და ჩემი ქნარი, მარტოობით შექმნილი ქნარი!

---

ეს მაგალითის

## განახლდა გული.

განახლდა გული... დღეს ის იღარ ვარ  
 რაც უწინ ვიყავ... ფერი ვიცვალე...  
 გზა დამიტალე, შავო ბურუსო,  
 წყეულო ლამევ, გზა დამიტალე!  
 წინ ვივლი, სანამ დაემიწიდებოდე  
 ბედს კი მაინც არ შეცურიგდები.  
 წინ ნუ მიხვდები, შავო ბურუსო,  
 წყეულო ლამევ, წინ ნუ მიხვდები!

ნუ თუ არ მეყო, რაც დასაბამისო  
 გაუნელებელ ცეცხლში ვეწვალე?  
 ჩამომეტალე, შავო ბურუსო.  
 წყეულო ლამევ, ჩამომეტალე!  
 ვრვიწყებ წარსულს.. ჩემს სიცმაწვილეს  
 გამოთხოვების ცრემლებს ვაპურებ,  
 გავანადგურებ ხელის შემშლელ ნისლს,  
 წყეულ ლამესაც გავანადგურებ..

წამების ცეცხლში განახლდა გული  
 ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე.  
 გზა დამიტალე, შავო ბურუსო,  
 წყეულო ლამევ, გზა დამიტალე!

---

## უკანასკნელი დღე.

ალექსიანი შემოდგომის  
 დღე მევლება გარს  
 ნიავი მითხრობს უცელელ ზღაპარს...  
 სიკვდილის ზღაპარს.  
 და ყვავილები თანაგრძნობით  
 მეხვევიან გარს  
 და ფიქრი მიაქვს შორს ნიავქარს,  
 სევდის ნიავ-ქარს!

\* \*

ხეალ აო ვიქწები ქვეყანაზე  
 და იმიტომ მსურს  
 ვიპოვო რამე, რომ წავუღო  
 ზეცას მელილურს.  
 მართმევს მე ამ დღეს უკანასკნელს  
 სამარის მტკერი,  
 მართმევს იმგვარად, ვით წამართვა  
 შან ყველაფერი!

\* \*

ოჰ, არ წამართვათ, არ წამართვათ  
 დღე ეს ნათელი,  
 დღე სევდიანი, დღე დალლილი,  
 უკანასკნელი!

## უქანასკნელი დღე.

ალექსიანი შემოდგომის  
 დღე მევლება გარს,  
 ნიავი მითხრობს უცვლელ ზღაპარს,  
 სიკვდილის ზღაპარს.  
 და უვავილები თანაგრძნობით  
 მეხვევრან გარს  
 და ფიქრი მიაქვს შორს ნიავქარს,  
 სევდის ნიავქარს!

\* \* \*

ხვალ არ ვიქნები ქვეყანაზე  
 და იმიტომ მსურს,  
 ვიპოვო რამე, რომ წაეულო  
 ზეცას მედილურს.  
 მართმევს მე ამ დღეს უკანასკნელს  
 სამარის მტკერი,  
 მართმევს, იმგვარად, ვით წამართვა  
 მან კუველაფერი!

\* \* \*

ოჟ, არ წამართვათ, არ წამართვათ  
 დღეს ეს ნათელი,  
 დღე სევდიანი, დღე დაღლილი,  
 უკანასკნელი!

---

## სასაფლაოზე.

ნიავი დაჭრის... სასაფლაოზე  
 ღამე ეშვება წყნარიდ, ბინდდება.  
 შემოვა ქალი, დაჯდება ქვაზე  
 და მწარედ, მწარედ აქვითინდება.

ქვითინი თვითონ კუბოს ჩასწვდება,  
 ცრემლები კიდევ—ჟვავილთა ძირებს...  
 გამოიგლოვებს პირველ სიყვარულს  
 და სიკოცხლესაც გამოიტირებს.

ვინ მისცემს ნუგეშს ობლადა შთენილს?  
 თვითონაც იცის—რისთვისაც კვდება:  
 არ განახლდება წარსული ეამი,  
 ბედნიერება არ დაბრუნდება!

---

## ტექსტი მიზანისას

### დიდი ხანია.

მე კულავ ვნახულობ შენს სამარეს განმარტოებულს.  
 სასაფლაოზე მზე ანათებს... ყვავილნი თრთიან...  
 აქ ვერცინ მამჩნევს სიკვდილამდე ობოლს, მოწყენილს,  
 აქ საბრძოლველად მეგობრებიც არ მეძახიან.

მინდა გიამბო... და ბევრი რამ მინდა გიამბო...  
 მშეიღობიანი ალარი მაქუს ცხადი და ძილი,  
 მას შემდევ რაც შენ მიმატოვე ცხოვრების ზღვაზე,  
 მას შემდევ რაც მე მივატოვე ყრმობის ლიმილი.

მე კულავ ვნახულობ შენს სამარეს, მიგრამ პირველი  
 შენი ალერსი გაცივებულ გულს არ სჭირია.  
 მე ცრემლი მინდა, სიყმაწევილის პირველი ცრემლი,  
 დიდი ხანია რაც იმგვარად არ მიტირია!

## მგზავრის სიმღერა.

თავგანწირულიად მინდორ-ველად  
მიშაფრენს ცხენი.

გაზაფხულია... სიო დაპქრის

კიდითი-კიდე,

მზე სხივებს აფრქვევს ქვეყანაზე

შეების მომფენი,

არე-მიღამოს ლვთაებრივი

ატკბობს სიმშვიდე.

ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე

ვერც სიტკბიება,

ვერც რამ ისეთი სასიკოცხლო

და სანეტარო.

დაპქროლე ქარო... მე არ მიყვარს

ეგ მყუდროება,

მე ქარიშხალთან შებმა მინდა,

დაპქროლე ქარო.

ბეღნიერებას მე არ ვეძებ

ამ ქვეყანაზე,

შვების ძებნაშიც ვტყვილდებოდი

ქვეყნად ყოველთვის

და, დედ, მოვკვდე, თუნდ ვიკოცხლო.

ქარიშხლის ხმაზე,

როგორც მოხდება... ეგ სუჟველა

ერთია ჩემთვის!

## დარიალისა ვიწრო კლდეებში.

დარიალისა ვიწრო კლდეებში  
 თერგი მრისხანე, მახსოვს, ცრემლს ლვრიდა.  
 მეც, უნუგეშო და ძლიერ ხმებში  
 ფიქრი უსაზღვრო კაეშანს შვერიდა.  
 სევდიანი და შუქ-მონავარდე  
 ცის უდაბნოში სცურავდა მოვარე,  
 ბევრი ვიტირე, ბევრი ვიდარდე,  
 ბევრი მწუხარე ცრემლი დაელვარე.  
 ვეთხოვებოდი სამშობლო მხარეს  
 ღრმა ძილში შთანთქმულს, მაგრამ უზრუნველს,  
 შორს დაეძებდი მყუდრო სამარეს,  
 უცხოეთისკენ მე ვიშვერდი ხელს.  
 „— მძულხარ, მონობავ! — ვამბობდი და ხმებს  
 ცელქი ნიავი სათუთად ჰქირებდა,  
 „მძულხარო“ — ისე უთვლიდა ზეირთებს,  
 „მძულხარო“ — თერგი იმეორებდა.  
 სევდიანი და შუქ-მონავარდე  
 ცის უდაბნოში სცურავდა მოვარე,  
 ბევრი ვიტირე, ბევრი ვიდარდე,  
 ბევრი მწუხარე ცრემლი დაელვარე!

---

## ძეგნა.

ოჰ, სად, სადაა მისი საფლავი!  
 გემუდარებით, მიჩვენეთ ჩქარა...  
 მე ის მიყეარდა და ის კი თურმე  
 გაცივებულ ლოდს ამოეფარა!  
 შორს ვიყავ მისგან და ეხლა მასზე  
 მოგონებები ჩემთვის არ კმარა,  
 გამოვეშურე უცხო ქვეყნიდან  
 რომ მომესმინა ან ჰო, ან არა!  
 ნუ თუ სამუდმოდ საფლავს მიეტა,  
 ნუ თუ დალლილა და თვალს არ აღებს?  
 ჩავძახებ მას ხმას სიყვარულისას  
 და ნუ თუ პასუხს არ ამომძახებს?

ია თან მიმაქვს, ვარდიც თან მიმაქვს,  
 თან მიმაქვს ჩემი სპეტაკი გული,  
 ნუ თუ ვერ ვპოვო ქვეყნად ვერასდროს,  
 მიწად ქცეული და დაკარგული?  
 ნუ თუ ზეირთებმა მთლად დაამსხერიოს  
 უილაჯი და ობოლი ნავი?  
 მანამდე მასთან მინდა ვიტირო,  
 ოჰ სად... სადაა მისი საფლავი!

---

## ჩარიშელის შემდეგ.

საღ კარიშანი ისევე მეფობს,  
 საღაც კვლავ დარჩა ძელი იარა,  
 იქ ქარიშხალმა გადაიარა,  
 იქ ქარიშხალი მწარედ გმინივდა;

ჰყანესდა, ჰყოდა და დაფრინავდა  
 კიდითი-კიდე—ვით ბელზებელი.  
 რა დარჩა 'შემდეგ? ისევე ძელი  
 უკურნებელი და მწვავე წყლული.

და მწარე ფიქრით გარემოული  
 მიცხირებივარ ცისა დასავალს,  
 ვისმენ მიღამოს თავ-- გადასავალს  
 სიჩუმეში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს.

ყოველ ობოლ წუთს, ყოველ ობოლ წამს,  
 ტყეს მიმკვდარებულს და თმა-გაწეწილს,  
 რტოებს, ქარიშხლით ასე დალეწილს  
 განმარტოებულს ვავედრებ საფლავს.

სულ ის მიშტოთებს და გულსაც ის ჰყლავს,  
 რომ ამ ღუმილში ყოფნა ვერ ილხენს,  
 და ქარიშხალიც არ გადაიფრენს,  
 სანამ სიკვდილი ქვეყანას პფარავს.

ՀՅԴԲԸՑ ՊՈՎՔՈՎԱՆ

## ՇՈՒՐՈ ՑԱԽԱՑԵՄԼՈ.

Ճայ, շրջեծողը, թարպալողը ու ունեծա հիմո...  
 այսհրանցնել ոմ ունեծեծն յալապ մուզումո.

հիմս Շոր ցախացեսուլս ուժարաչքն և ույրակելու ցնեծա,  
 ոմ Շոր ցախացեսուլս, հիմտուսապ հոմ ցամոծհրիպոնցը օւնեծա.

Տոնամուլութիւն ունեծեսաս ազանուեծ յանցուելս,  
 ոմ Շոր ցախացեսուլս ոյես-վայու աշակերտուն գլուխան գլուխան.

## შორი აღმჩენი.

გადამიერწყდა ჩემგან თქმული სიმღერა ძველად  
 და ახალ ჰანგებს ვეძიებდი ფიქრო გასართველად.

მაგრამ სიმღერა იგი ძველი თან აქვნდა სოფელს,  
 ის არ ჰქარგავდა ჩემს მწარე ცრემლს, ცრემლს შეუშრობელს.

არის სხვა ცრემლი, ყოველ ცრემლზე უსიამესი,  
 როცა ვერ გწვდება საუკუნეთ შორი აღმჩენი...

როს სული სცოცხლობს, სხეული კი სამარეშისდემს,  
 უამი გეძახის ხელოვნების სევდიან ქურუმს.

ის წრფელი ცრემლი კვლავ იადგენს ხელოვნებას ძველს,  
 კვლავ გააცოცხლებს მიწით გმობილ წინასწარმეტყველს.

საბუღალტრო მინისტრი

## შორი სიახლოვე.

სადღაც მინახავს ქალის სახე წრფელ-მოკამძე,  
და ის აჩრდილი ირ მშორდება არც დოე, არც ლამძე.  
ალერსის სიტყვებს ჩამჩრეულებს ახლო მდგომელი,  
მაგრამ მარადის დაფარული, მოუწდომელი.

ოჰ, დიდხანს... დიდხანს ვძებნე იგი და ვერსად ვპოვე!  
ვიცი შორს არის, მაშ რად მტანჯავს ეგ სიახლოვე?

---

## მუხა.

მუხა პირველი იგრძნობს ალიონს  
და პირველ სალამს განთიადისას,  
ამაყად გასცერს მთას კავეასიონს,  
მეფეურ დუმილით დაწყურებს მიწას.

მუხა პირველი მეხს ეგებება  
შეუშფოთებელ და მძლავრრტოებით,  
შეუშფოთებლად და მძლავრად ჰქედება  
ველზე მდგომარე განმარტოებით.

ყანებში სადღაც ატირდა ღალლა...  
ძირს, ძირს ეშვება მოხუცი მუხა,  
ნაკადს დაეცა, ნაკადშაც ტალლა  
ააძლელვარა, ააჩუხჩუხა.

წაილებს ხსოვნას ემი პირქუში,  
გასცდება დლეებს, განაპირდება;  
გარტოდენ კოტი მუხის ძველ დრუში  
დაისადგურებს და ატირდება!

---

## ASTRE.

ცად აზიდულია, ვით მარმარილო,  
 მყინვარის თეთრიად ნაკვეთი თავი,  
 სურავს მთოვარე, სურავს მუქ ცაზე,  
 ვით ოკეანეს სივრცეზე ნავი.  
 დარიალისა ვიწრო კლდეებში  
 ბნელ დამეს ითევს ბურუსი შავი  
 და ისმენს თერგი, თუ ცაზე როგორ  
 ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი.  
 მყუდრო დამეში მოხეტიალე  
 ბედუინს სიზმრად უნიხევს მხარე,  
 სადაც მუდმივი, დაუჭინობელი  
 სილამაზეა და სინარნარე,  
 სადაც ქვეყნიდან ზეცის საზღვაზე  
 სწყდება კაცი თხვრი გულ-მოსაკლავი,  
 სადაც იღუმილ-მარადიულზე,  
 ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი.

---

## ვარდის ფოთოლი.

ალბად მგოსანშა ჩადო ძველ წიგნში  
 გაყვითლებული ვარდის ფოთოლი,  
 ქალწულის ხელშა მიუძღვნა იგი  
 დიდება ნაზი, დიდება წრფელი.  
 და ამ საჩუქარს ის ინახავდა  
 განუწყვეტელის ცრემლების ფრქვევით,  
 სანამ მეორე ვინმე მგოსანი  
 არ შემოვიდა მასთან შემთხვევით.  
 დაფნის გვირგვინით შებლ-შემჯობილი,  
 — იცი — ღიმილით ეტყოდა პირველს —  
 მე ამ გვირგვინით ხალხშა შემამკო,  
 არ ჰვავს შენს ღმერთას და შემომწირველს!“  
 პირველ მგოსანში შურმა იფეთქა,  
 დასწეა გულის ოქმამ, მაგრამ შეჩერდა  
 და უპასუხა: „ხალხს მუხლ-მოდრეების  
 იპოვის მუდამ, ვინც შენებრ მლერდა.  
 მისთვის კი, ვინაც სიყმაწვეილიდან  
 გასცდება ხალხს და განაპირდება,  
 ვარდის ფოთოლიც საკმარისია,  
 დაფნის გვირგვინი მას არ სჭირდება!“

---

## ప్రాచీన భాషలు

\* \* \*

అన మినడా సిట్యూడా, అన మినడా సిట్యూడా!  
 రండ్రెసాప్ సిట్యూడా డాఇబార్ఫెబా,  
 సామానుతల్లిస అలి—రంగుంర్పు డ్యూర్సుసి  
 ల్సె నీర్లవ్వెబా డా న్ఫాన్ట్రెబా.  
 థబోల్లండ ట్వాల్ఫెబిట, మాగ గాన్చుసాథ్లవ్రెల్  
 స్యేఫ్రిస మార్క్యుశి మప్పురావ్ ట్వాల్ఫెబిట  
 మితోసారి రామ్య, టార్జెమ స్యుల్సి డావ్లెబ్  
 గామొస్సుర్క్యెబ్బెల్ క్యేన్జెనా—చ్చ్వాల్ఫెబిట.  
 భె స్యుల్సి అన భాజ్యెస అమ్మెయ్యునిఉరిస  
 శ్యేన్శ్యే న్ప్రెబిట డాప్పించ్చా న్పగి,  
 గాన్ థింర్లదా స్యోఫ్యెల్సి డా ట్యు క్యెల్సి స్ప్రోప్చెల్లంబస్ ,  
 స్ప్రోప్చెల్లంబస్ ల్సె వ్యిత త్ర్యాఫ్టుంబిస త్రాంగో.  
 డా శ్యేంయ్యునిఉర స్యోఫ్యార్సుల్లిట మ్హ్వెంస  
 గామొస్సుత్యేల్సి డా మ్హ్యార్జె అలి,  
 సాడాం సిట్యూడా, రంమ అమొస్థింస  
 గ్యుల్శి బ్యోగ్రాఫ్సున్బి డా బ్యోగ్జ్రాల్సి?

## ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინვას!

ვარსკვლავი იწვის, ვარსკვლავი ბრწყინვს,  
 ვარსკვლავიანი კამარა ელავს.  
 მოდის, მოსცურივს შევაღამის ბინდი  
 და ჩრდილი ჩრდილზე მიდის, მიღელავს.  
 რძისფერ სინათლით გარს შემოხვეულს  
 ბავშური ძილით ქვეყანას სძინავს.  
 ვარსკვლავიანი კამარა ელავს,  
 ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინვავს.  
 მომხიბვლელ ჯადოს მყუდროებისას  
 ქვეშ მოპყოლია მაღალი მთები  
 და მუდმივ თოვლით გადაფარულნი  
 სხედან ამაყად, როგორც მდევები.  
 და ყინულისგან ქანდაკებული  
 მათი გვირგვინი ბრწყინვს და ბრწყინვს,  
 სიჩუმეს არღვევს მხოლოდ ნიავი  
 ტყისა ფოთლებში როცა დაჭრინავს,  
 და მისი სუნთქვა—ვით დედის ნანა  
 მძინარე სოფელს თავზე ევლება,  
 ალერსიანი ნიავი დაპქრის,  
 ალერსიანი ნიავი ჰქედება.  
 ვდგევარ მთის წვერზე განმარტოებით,  
 გულშივ ვიკავებ მომსკდარ სიმღერას.  
 ვარსკვლავიანი კამარა ჯაჭვავს  
 სმენას, სიმღერას და ოვალთა ცქერას.

და შიში, რომ ხმა აღამიანის  
 დაარღვევს ციურ იდუმალებას,  
 მაქვავებს თავის ფარული გრძნებით  
 მხოლოდ მეძლივს ვერძნობა ამ წარმტაც გრძნებას.  
 ჩემს ქვევით ლვარად სკურავს ნათელი  
 ჩემს ზევით ცეცხლი ზეცას ედება,  
 ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს,  
 ვარსკვლავიანი კამარა დნება.

---

## ტყის პირად.

ტყის პირად თვალის მოსატყვილებლად  
 მივწევი და ძილს მივეცი თავი,  
 ჭადრების ჩრდილი მეზვია საბნად  
 და ნანის მთქმელად — შხოლოდ ნიავი.  
 მძინარეს თავზე დამტრიალებდა  
 ტყისა ფოთლები და ჟვავილები  
 და ძილში ოდნავ ჩამომესმოდა  
 უცხოდ მომღერალ ფრინველთა ხმები.

მესიზმრა ამ დროს, რომ მოვიზოვე  
 სიმდიდრე, ვერცხლი, ქება-დიდება,  
 და ცველაფერი, რაც ქვეყანაზე  
 ფულით იმხობა და იყიდება;  
 სამაგიეროდ მთელ ქვეყანაზე  
 მოსიყვარულე ვერ ვპოვე გული.  
 გამომეღვიძა. სალამოს ნისლით  
 იჩადრებოდა ტყე დაბურული.

თვალი მოვავლე და დაეინახე  
 ჩემი სიმდიდრე: გზა, მინდორ-ველი.  
 ვოქვი — ვისთვის მინდა ქება დიდება  
 ან სხვა სიმდიდრე დაულეველი?  
 დლეს ტყეა ჩემი თავ-შესაფერი,  
 ხვალ — უდაბნოელ დარიჯის კერა,  
 ზეგ — გაშლილ (კისქვეშ გვეათევ ლაშეს  
 და მუდამ მიძმობს ჩემი სიმღერა.

---

## რა მუდანი იყო ნამი...

...რა მშენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე..  
მზე სხივს აფრქვევდა, ათასფერიდ ლვივოდა ნამი,  
შიგ იხატვოდა, როგორც ამაყ ზღვათა უბსკრუ-  
ლზე  
ზეცის შვენება, ზეთის სხივი, ზეცის კამამი.

...რა მშენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე.  
ცავარსკვლავებით მოჭედილი ზე დასტეროდა,  
თითქო ცის შეილის ყოფნას ვარდზე და სი-  
ყვარულზე  
განცვიფრებოდა.. თვალს ლულავდა. ირა სჯე-  
როდა.

დღეს აღარ არის! წაპყვა მზის შუქს აფერისე-  
ბულს,  
დალია სული სიყმაწვილის ნაზ გაზაფხულზე.  
მაგრამ მგოსანი კვლავ იგონებს მის ნეტირ  
წარსულს  
...რა მშენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე!

## შვავილები.

ყვავილებისას გვირვეინებს ცწნავდი,  
 სატრფოს საფლავზე დადება მსურდა...  
 უცებ ნიავმა წამომიქროლა...  
 რისოვის წამართვა, რისოვის შეშურდა?

მინდვრად ყვავილთა კონა შევკარი,  
 ჩემთვის გვირვეინის შეკონა მსურდა,  
 ოცნება იყო... და სინამდვილემ  
 ესეც წამართვა, ესეც შეშურდა.

კუბოს ფიცრები ყვავილით მოვრთე  
 გულში კაეშანთ გუნდი აცურდა..  
 სიკვდილს ვეძებდი.. ის არსით სჩანდა..  
 ყვავილიც ჩემთვის მას შურდა.. შურდა.

ბუნებავ, ტრფობის წმინდა ყვავილი  
 რომ დამაბარე -ვერსად ვერ ვპოვე,  
 ბედნიერება ჩემთვის არ არის,  
 ბედურული შეილი გამომიგლოვე.

---

## სიმღერა.

ოდესალაც, სადლაც მარტობაში  
 გულით ამომსკდა სიმღერა წყნარი.  
 ჩემი სიმღერა ქვითინი იყო,  
 სულით ობლობას კვნესოდა ქნარი.

ხანი გავიდა, გადამაყიწყდა  
 სიმღერა საღლაც, ოდესმე თქმული,  
 სანამ არ ვპოვე მეგობრის გულში  
 ლრმად ჩაქსოვილი და შენახული.

ერთხელ, როდესაც გზად მივდიოდი  
 მე მოვისმინე ჩემივ ნაღველი.  
 ბავშურ ოცნებით გატაცებული  
 ყმაწევილურ ვნების გამომსახველი.

და ვერ ვივიწყებ ქალწულის სახეს  
 სადლაც, ოდესმე ფიქრში ზმანებულს,  
 შემდეგ ახდენილს სინამდვილეში.  
 მაგრამ საქმიოდ დაგვიანებულს.

---

## მწუხარება.

შევად გაშლილის ღამის იჭირთ შემოხვეული  
გამძვინვარებულ ქარიშხლისას ვისმენდი კვნესას,  
გულში არ ვგრძნობდი მე დაფარულს და ტყბილ ოცნებებს,  
არც ლიმილით გავცემოდი სკოდიან ზეცას,  
არც მოგონებებს ქარიშხლიან სიყმაწვილისას,  
არც უსაფუძვლო და უმიზნო სიცოცხლის ნაყოფს,  
არც მომავალის ვაი-ვაგლაბს არ ვიგონებდი—  
მაინც არ ჰქონდა მოსვენება ჩემს სულს ავადმყოფს.

ზხამი - ოდესმე მეგობრების ხელით მოწვდილი,  
წყლული, ცხოვრების სისასტიკით ერთხელ ჩნეული,  
შეუმჩნეველად მოწამლავდა უკეთეს წამებს  
რადგან სიხარულს არ იყავი, სულო, ჩვეული.  
ტყვიის ფერ ლრუპლებს, ყას და მიწას მუა დაკიდულთ  
მძიმე ცრემლები ჩაბნელებულ თვალთაგან ვაკიფდა.  
ალარა ჰქონდა მოსვენება ჩემს სულს ავადმყოფს  
და ჩემს გულშიაც შვების ცეცხლი აღარ დვივოდა.

გაივლის ეამი და, ვინ იცის, იქნებ ზეცაზე  
შწუხრის დემონმა ვერ დასტოვოს ის ძველი კვალი,  
მაგრამ ეჭ, სულო, ერთფეროვან ბრწყინვალებაში  
თუნდაც ედემში რა იქნება შენთვის ახალი?  
არც ოცნებებში განგიცდია მთელი არსებით,  
სინამდვილეში მას ექნება რაიმე ფასი?  
კმარა! ვერ ჰპოებ მოსვენებას, ჩემო ბედურულო,  
დასკალე ბარემ... სულ დასკალე წამების თასი.

## სინაზღაური.

ეჰ, ნულარ ელი ჩემგან ისევ ლოცვა-ველრებას,  
 ზე ალარა მაქვს საიმისოდ ძალა და ლონე.  
 მხოლოდ იმიტომ გაგიხსენე და მოგიგონე,  
 რომ შენში ვმართავ მთელ არ-ყოფილ ბელნიერებას.

ნურც ცრემლებს ელი... მე მრახვენია ეხლა ცრემლების  
 რომელთაც თვალნი აქ ოდესმე ლვრიდა და ლვრიდა.  
 გრწამდეს - საქმაოდ გამიცივდა საბრალო გული,  
 აღტაცების და სიწრფელის დრო გაძქრა, წავიდა.

მრახვენია, როცა მოვიგონებ ჩემს გატაცებას  
 და ამ დროს ენატრობ მოგონება გულში არ თრთოდეს.  
 მაგრამ რა ვუყოთ... რას ჩაიდენს აქ კაცი ისეთს,  
 რომ შემდეგ მაინც გულსაკლავად არ დასტინოდეს.

11468

## სანამ შორს იყავ...


მე შენიო ვქმნიდი განთიადის, ძლევის სიმღერას,  
 შენით ვხატავდი ელვარებას უსაზღვრო ცისას,  
 ურწყულ გულისთვის შენში ვჭერეტდი დაობლებული  
 სრულ ჰარმონის კვეუისას და სილამაზისას.

სანამ შორს იყავ... და როდესაც ახლო შეგხედე,  
 სულ არ აღმოჩნდა შენში იგი მიმზიდველობა.  
 აგრე გამიქრა მე ოცნება უკანასკნელი,  
 აგრე დავმარხე სინამდვილით მოკლული გრძნობა.

მე ეგ ვიცოდი... მე წინადვე ვიცოდი ეგა  
 და მაინც მსურდა იმ ოცნების სახესთან დგომა,  
 ამაოდ შექმნილ ციურ სულთან — მხურვალე ლოცვა  
 და აქ, ამ ქვეყნად შექმნილ კერპთან — მწარე შეცდომა.

## ჩარი.

მე ვწერდი... ამ დროს სევდიანი  
 შვალამის ჩრდილი,  
 ვარსკვლავთა გუნდში ხან იქ, ხან იქ  
 დასრიალობდა.  
 ქარი ხან სტენდა, ხან სტიროლა  
 გულ-ამოსკვნილი,  
 ხან გამოუთქმელ სივაგლაბით  
 ჰყვნესდა. . წვალობდა.  
 გული უსმენდა მას ამ ქვითინს  
 გამოურკვეველს  
 და ოქნებობდა იუზდენელ  
 ფიქრ-მოვლნებით  
 ქარი კი ისევ ედებოდა  
 ქვითინით ღყე ველს  
 და მცნარ უკავილებს იუჟებდა  
 მოსხლეტილ ფრთხებით;  
 თითქო იყოდა—უარიელი  
 იყო ქვეყანა,  
 მისთვის არ იყო ამ სივრცეზე  
 თავ-შესაფარი,  
 მხოლოდ მე ვიყავ იმის მსგავსი  
 და იმისთანა  
 და მოწყენილ სმებს მიტომ კუნესდა  
 სარქმელთან ქარი.  
 დასუხრი გრიგოლო! ცველაფერა



როდი დავკარგეთ,  
 რა ვუყოთ გულში თუ სიამის  
 ჩურჩული მისწყდა?  
 რად დაგვიწყდა წყნარი ლოცვა  
 ქალწულის ბაგეთ  
 და მოგონება დღეთა წასრელთ  
 რად დაგაეკწყდა?

\*\*\*

როგორც აჩრდილნი — დაღალულნი დაედივართ ქვეყნად.  
 და არე-მარე, თვით კის სივრცე მოსილა ბნელით.  
 კისა დასავალს გავცემერივართ... უკანასკნელად  
 დღე იქ გაგვიქრა და ახალ დღეს კი აღარ ველით...  
 ვის შეუძლია ბედნიერად რომ იგრძნოს თავი  
 ან ჰაეროვან პეპლების გუნდს ვინ შეაჩერებს?  
 წუთი, რომელსაც სიხარულის ნაყოფი ჰქვია  
 თავიანთ ფრთხებ-ქვეშ ბედნიერად ვის დააბერებს?  
 ახალგაზდაა მეტისმეტად კაცთა იმედი  
 და მოხუცია საიმისოდ ეგ ჩენი გული.  
 ომ, იყვეს აგრე... ბედი სწერდა ალბათ ამ სტრიქონს.  
 ბედი უმიზნო ჩენი ყოფნით განდიდებული.  
 და თუ წამება გაჩენილა კაცთ ჯოჯოხეთად  
 მე მსურს ეს ხეედრი სევდიანი თან წავიყოლო;  
 ვიცი — ბოლო აქვს ქვეყანაზე ყოველგვარ სახეს  
 მაგრამ წამებას, ჩემს წამებას კი არ აქვს ბოლო;  
 მე ვეძებ მაში თავისებურ ბედნიერებას  
 იგი სავსეა ძლიერებით, ვით ცეცხლის ქურა...  
 რომ კვლავ შეეძლოს განმიახლოს ძლევის სიმღერა,  
 რაც სინამდვილეშ წამართვა და გამინადგურა.

## უკანასკნელ დღეს.

სად არ ვძებნილი უკანასკნელ დღეს,  
 დღეს სიცოცხლესთან დათხოვებისას...  
 მაგრამ ბინდ-ბუნდი ზეცას ფარივდა  
 და შევი ნისლი ბურივდა მიწას...

არსით არ სჩანდა ჩემი სიკვდილი,  
 მწუხარე იყო თვით ჩემი სული,  
 და მას სწყუროდა თავ-დავიწყება  
 და არსად იყო ის დასასრული.

დღეს კი, როს შევი სახე სიკვდილის  
 შევ-ბნელ უფსკრულში მიცდის და მიცდის,  
 მინდა ვიმღერო გამარჯვებისა  
 მაგრამ მომწყინდა — არ ვიცი რისთვის.

რაც მოხდა იგი ნისლს ეფარება,  
 ხსოვნა იღუმალ საზღვრებს შორდება,  
 არ განახლდება შევი დღის ძებნა  
 და სიცოცხლეც არ განმეორდება.

---

## 1029 ფილადელფი

### გდინარის პირზე.

შეიძლო მარტინის და მარტინის მამის  
 ბათი და და მამის მამის მამის  
 ასე ისწრაფვის ჩერების ცხოვრების და ასე ის  
 უმნევი წამი სხვადასხვაგვარი.

შეიძლო სივრცეს უერთდებინ ასე ის თავის  
 ზღვის ნაპრალებში გააქვთ თარეში,  
 ასე ითქმება ჩერები ცხოვრება ასე ის თავის  
 საუკუნეთა სიმწუხარეში.  
 ვაი მას, ვისაც არ ასვენებდა

ქვეყნიურ ვნებათ და ფიქრთა გროვა,  
 ვისაც აქ სურდა ბედნიერება ასე უმნები  
 მაგრამ ნუგეში ვერსად იპოვა.  
 საუკუნეთა შორი გრეხილი  
 ზრახვათა იმათ გადავიწყებს,  
 გადაავიწყებს რომ ნირვანაში  
 სამაგიერო არარა მისცეს!

## ორი პეპელა.

პირველი.

აკიცდა, ნისლით შემოიბურა  
 ცად ატყორცნილი მთების კალთები,  
 ცრემლით თივსო სიცოცხლის სურა...  
 ზაფხული ჰქერება; ამა, მეც ვკვდები!  
 აღარ დარჩება ჩემი ნასახი  
 ისევე წავალ, როგორც მოვფრინდი...  
 ომ, რა კარგია ისევ სიკოცხლე  
 ტყე, მინდოურ-ველი, საღამოს ბინდი.  
 და ნუ თუ მართლა უკვალოდ ვქრები?  
 მახსოვს შევი ზღვის პირად ვინმე ყრმა  
 მივრდა, წყალში ქვა გადისროლა  
 და მე მომესმა მისი სუსტი ჩმა:  
 „ომ, ასე ჰქერება ყოველი არსი  
 ვითარუა ეს ქვა, ვით ეს პეპელა,  
 სწრაფუ-უმიზნოა მათი სიკვდილი!“  
 სოკეა და უკანვე გაბრუნდა ნელა.

მეორე.

მახსოვს, მეც მახსოვს... როცა ყრმაშ წყალში  
 შწუხარე სიტყვით ქვა გაისროლა —  
 უკვალოდ როდი გაძქრი იგი ქვა...  
 ზღვა შეკრთა, წყალმა დაიწყო თრთოლა,  
 რგოლი რგოლს მიჰყავს წყნარი ლივლივით,  
 დაჰყეა ზღვის სიკრცეს დაუსრულებელს,  
 ნაპირს მიასკდა და გამობრუნდა,  
 ისევ დაადგა გზას უსაზღვროს, ვრცელს,  
 ეხლა არა სჩანს...

პირველი.

ნუ თუ სულ გაჰქირა?

მეორე.

არა! ფერიამ მიამბო რომა,  
 წავა ზაფხული, არე-მიდამოს  
 შეაცვლევინებს ფერს შემოდგომა,  
 შემდეგ ზამთარის მთრთოლვარე ხელით  
 შეიფერება სული და გრძნობა  
 წელიწადები წელიწადს შესცვლის,  
 შთამამავლობას— შთამამავლობა—  
